eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა წარმოადგენს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის დოკუმენტების და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენის და საბიუჯეტო სახსრების მართვის საშუალებას. მისი საშუალებით ონლაინ რეჟიმში ხორციელდება სახელმწიფო ფულადი სახსრების გადარიცხვა.

სისტემა გაყოფილია ორ ნაწილად:

- მხარჯველი მხარე - საშუალებას აძლევს ბიუჯეტის დაფინანსების ქვეშ არსებულ ყველა ორგანიზაციას მართოს საკუთარი რესურსები და შეასრულოს ტრანზაქციები;
- ხაზინის მხარე - წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინისთვის სახელმწიფო სახსრების და ხარჯების კონტროლის, მონიტორინგისა და ანალიზის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტების კრებულს.

სისტემის უპირატესობები:

- სახელმწიფო ხაზინასა და მხარჯველ ორგანიზაციას შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივება;
- ტრანზაქციების განხორციელების პროცესის გამარტივება;
- სახელმწიფო ხაზინის და ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება;
- პროცესების ეფექტური მართვა.